ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი #6

ქ. თბილისი
2017 წ.

26 დეკემბერი
13:00 სთ

გარემოს დაცვის კომისიის წევრები:

ერეკლე კუხიანიძე (სხდომის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ხაბეიშვილი, ლევან ჯაფარიძე, გიორგი დოხტურიშვილი, ელენე ოზაშვილი.

მოწვეული სტუმრები:

1. ეკატერინე ცეცხლაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი;
2. გაიოზ თალაკვაძე- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.
3. ლია ჭაჭუკაშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

საკრებულოს წევრები:

1. რევაზ სოხაძე - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე;

2. ბექა დავითულიანი - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

3. ვახტანგ შაქარიშვილი - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

4.დავით უთმელიძე - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის #30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის ა/წლის 22 დეკემბრის #12-031735686-03 წერილი).

2. “დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული საკითხები: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის დ. ნარმანიას

ა/წლის 6 ნოემბრის #12-031731011-03 წერილის მე-2, მე- 6, მე-14, მე-16 და მე-17 წინადადება;
ა/წლის 10 ნოემბრის #12-03173149-03 წერილის მე-2 და მე-6 წინადადება.

3. მიმდინარე საკითხები: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის განსაზღვრაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.

(ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის ა/წლის 26 დეკემბრის #12-03173606-03 წერილი).

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისია უფლებამოსილია, რადგან კომისიის სიითი შემადგენლობიდან (8 წევრი) სხდომას ესწრება უმრავლესობა (6 წევრი).

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დააყენა გარემოს დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების საკითხი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიამ დამსწრე წევრების ხმათა სრული უმრავლესობით

გადაწყვიტა:

დამტკიცდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა მოწვეული სტუმრები და დაიწყო სხდომა 1-ლი საკითხის განხილვით.

1.მოისმინეს **დღის წესრიგით გათვალისწინებული 1-ლი საკითხი** „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის #30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის ა/წლის 22 დეკემბრის #12-031735686-03 წერილი).

აღნიშნული საკითხი წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა - გაიოზ თალაკვაძემ. კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ძირითადად ხორციელდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 დეკემბრის N2615 განკარგულებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში მეტროპოლიტენის სადგურების კაპიტალური შეკეთებისა და ვაგონების მოდერნიზებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 14 000,0 ათასი ლარი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში ასახვის მიზნით. ამასთან, ფაქტიურად მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით იზრდება სხვა შემოსავლები სულ 10307,6 ათასი ლარით,მათ შორის: მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის 8 225,6 ათასი ლარით, შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) – 482.9 ათასი ლარით და პროცენტები - 1 599,1 ათასი ლარით. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 24 307,6 ათასი ლარით და შეადგენს 843 134,5 ათას ლარს.

იზრდება დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) 6 300,0 ათასი ლარით, მათ შორის გათვალისწინებულია თანამშრომელთათვის ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით საახალწლო პრემია 1 732,1 ათასი ლარი;

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესების პრიორიტეტის ფარგლებში **მცირდება** გამწვანების ღონისძიებების (კოდი 03 01) პროგრამის ასიგნებები 211,5 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია მომსახურების მოცულობების

დაზუსტების შედეგად ხელშეკრულებებში ცვლილებების შემდეგ წარმოქმნილი ეკონომიით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მხრიდან დამატებითი შენიშვნები და მოსაზრებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 4

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 2

ქ. თბილისის მუნიციპლიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიამ, დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტა:

რეკომენდაცია მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის ა/წლის 22 დეკემბრის #12-031735686-03 წერილით წარმოდგენილი. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შსახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის #30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ცვლილებების საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად გატანას.

კომისიის თავჯდომარემ მიმართა მოწვეულ სტუმარს სსიპ არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელს წარმოედგინა ზონის ცვლილებების საკითხები.

1.მოისმინეს დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-2 საკითხი: “დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული საკითხები:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის დ. ნარმანიას ა/წლის 6 ნოემბრის #12-031731011-03 წერილის - მე-2, მე- 6, მე-14, მე-16და მე-17 წინადადება;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის დ.ნარმანიას ა/წლის 10 ნოემბრის #12-03173149-03 წერილის - მე-2 და მე-6 წინადადება.

აღნიშნული საკითხები წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელმა - ეკატერინე ცეცხლაძემ. კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, წარმოდგენილი 6 საკითხი პუნქტობრივად იქნა განხილული.

1) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის დ. ნარმანიას ა.წ. 6 ნოემბრის #12-031731011-03 წერილი:

წინადადება #2 - ქ. თბილისში ნაძალადევის რაიონში, ერისთავის ქუჩა #8-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.12.12.003.070), (10396 კვ.მ) დაზუსტდეს კონტური განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

სამრეწველო ზონა 1 და სარეკრეაციო ზონა 2 იცვლება საცხოვრებელი ზონა 6-ითა და საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ით, (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 19.10.17 წლის ოქმი #42), განმცხადებელი მ. პაპუკაშვილი. AR1549565.

კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, აღნიშნული საკითხის განხილვა გადაიდო დამატებითი შესწავლისა და მოკვლევის მიზნით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 4

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 2

წინადადება #6 – ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის დასახლებაში მიქაძის ქუჩა #17-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.11.10.001.232) (574 კვ.მ) დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონა 6-ს შორის.

სარეკრეაციო ზონა 1 იცვლება საცხოვრებელი ზონა 6-ით. (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ 19.10.17 წლის ოქმი #42) განმცხადებელი: გ. ფსუტური. AR1550345.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის აქრიტექტურის სამსახურის პოზიცია წარმოადგინა ეკატერინე ცეცხლაძემ. კერძოდ, აღნიშნულ ტერიტორიაზე მოთხოვნილი ცვლილებით გათვალისწინებული ზონა არ შეესაბამება ადგილზე არსებულ ფაქტიურ მდგომარეობას.

აზრი გამოთქვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრმა - გიორგი ტყემალაძემ. მან განაცხადა რომ, ვინაიდან მითითებულ ტერიტორიზე ზონის ცვლილება მოხდა მისი ამჟამინდელი მფლობელის მიერ ტერიტორიის შეძენამდე, ამ მომენტისათვის ზონის ცვლილების მოთხოვნაზე უარის თქმა არარეკომენდირებულია მოქალაქის ინტერესების გათვალსწინებიდან გამომდინარე. შესაბამისად, უმჯობესია საკითხის განხილვის პროცესში ქონების მართვის სააგენტოსა და დაინტერესებული მხარის (განმცხადებელი) ჩართვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წამოდგენილი საკითხის განხილვა გადაიდო დამატებითი შესწავლისა და მოკვლევის მიზნით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 4

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 2

ქ.თბილისის მუნიციპლიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიამ, დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტა:

დამატებითი შესწავლის მიზნით **გადადებული იქნას** „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის დ. ნარმანიას ა/წლის 10 ნოემბრის **#12-03173149-03** წერილის მე-2 და მე-6 წინადადება.

2) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის დ. ნარმანიას ა.წ. 6 ნოემბრის #12-03173149-03 წერილი:

წინადადება #2 - ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში ორთაჭალის ქუჩის ბოლოს, ბოტანიკური ბაღის ბოლოს დამხმარე ტერიტორიიდან არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: 01.18.01.002.187; 01.18.06.012.019-ზე და მიმდ.) (954 კვ.მ) დაზუსტდეს კონტური ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონას, სარეკრეაციო ზონა 2-ს, სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონა 2-ს შორის.

ლანდშაფტურ-სარეკრეციო ზონა იცვლება საცხოვრებელი ზონა 2-ით, სარეკრეაციო ზონა 2 იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ით, (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 18.05.17 წლის ოქმი #20) განმცხადებელი: მ. სუხიტაშვილი. AR1503536.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ აქრიტექტურის სამსახურის პოზიცია წარმოადგინა ეკატერინე ცეცხლაძემ. კერძოდ, დამატებითი შესწავლის მიზნით სამსახურის მიერ მოხდა აღნიშნული ტერიტორიის ადგილზე მოკვლევა და მათი რეკომენდაციით, მოთხოვნა შეესაბამება ფაქტიურ მდგომარეობას და მიზანშეწონილად მიაჩნიათ ზონის ცვლილება.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა შენიშვნები და წინადადებები არ დაფიქსირებულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 4

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 2

წინადადება #6 - ქ. თბილისში კრწანისის რაიონში, რუსთავის გზატკეცილი #50-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ: 01.18.12.023.010) (101 კვ.მ) დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 1-სა და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ს შორის.

სარეკრეაციო ზონა 1 იცვლება საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ით, (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

საკითხთა საბჭოს“ 12.10.17 წლის ოქმი #41) განმცხადებელი: კ. გოჩელაშვილი. AR1548358.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის პოზიცია წარმოადგინა ეკატერინე ცეცხლაძემ. კერძოდ, დამატებითი შესწავლის მიზნით აღნიშნული ტერიტორიის ადგილზე მოკვლევა მოხდა სამსახურის მიერ. მათი რეკომენდაციით, მოთხოვნილი ზონის ცვლილება ხელს შეუწყობს ტერიტორიის განვითარებას.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა შენიშვნები და წინადადებები არ დაფიქსირებულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 4

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 2

წინადადება #14 - ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, შატბერაშვილის ქუჩა #50-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 01.14.11.065.075) (266 კვ.მ) დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონა 3-ს შორის.

სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება სატრანპორტო ზონა 3-ით. (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ 12.10.17 წლის ოქმი #41), განმცხადებელი: ჯ. აფციაური. AR1548056.

კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, აღნიშნული საკითხის განხილვა გადაიდო დამატებითი შესწავლისა და მოკვლევის მიზნით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 4

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 2

წინადადება #16 - ქ. თბილისში, ვაკის რაიონში მარუხის გმირები #1-3-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს.კ. 01.14.11.058.063; 01.14.11.058.017; 01.14.11.058.031; 01.14.11.058.072; 01.14.11.058.057; 01.14.11.058.051; 01.14.11.041.026; 01.14.11.058.058-ის ნაწილზე და მის მიმდებარედ) (5607 კვ.მ) დაზუსტდეს კონტური საცხოვრებელ ზონა 3-სა და საცხოვრებელ ზონა 5-ს შორის.

საცხოვრებელი ზონა 3 იცვლება საცხოვრებელი ზონა 5-ით. (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 05.10.17 წლის ოქმი #40), განმცხადებელი: გ. მაღალდაძე, AR1546054.

კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, აღნიშნული საკითხის განხილვა გადაიდო დამატებითი შესწავლისა და მოკვლევის მიზნით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 4

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 2

წინადადება #17 - ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელი დიღომი, მირიან მეფის ქუჩა #74, მირიან მეფის ქუჩა #70, მირიან მეფის ქუჩა #36-ში არსებული მიწის ნაკვეთებზე (ს.კ. 01.72.14.038.461; 01.72.14.038.516; 01.72.14.038.357; 01.72.14.038.096; 01.72.14.038.515; 01.72.14.038.094-ზე და მიმდებარედ) (7514 კვ.მ) დაზუსტდეს კონტური საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 3-სა და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ს შორის.

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 იცვლება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ით (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 19.10.17 წლის ოქმი #42), განმცხადებელი ნ. კაციტაძე, AR1549184.

კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, აღნიშნული საკითხის განხილვა გადაიდო დამატებითი შესწავლისა და მოკვლევის მიზნით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 4

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 2

ქ. თბილისის მუნიციპლიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიამ, დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტა:

რეკომენდაცია მიეცეს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის დ. ნარმანიას ა/წლის 6 ნოემბრის #12-031731011-03 წერილის მე-2 და მე-6 წინადადებების საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად გატანას.

დამატებითი შესწავლის მიზნით **გადადებული იქნას** „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის დ.ნარმანიას ა/წლის 6 ნოემბრის #12-031731011-03 წერილის მე-14, მე-16 და მე-17 წინადადებები.

3. მიმდინარე საკითხად განხილული იქნა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2017 წლის 26 დეკემბერს #12-03173606-03 წერილით წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის განსაზღვრაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მხრიდან დამატებით შენიშვნები და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 4

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 2

ქ. თბილისის მუნიციპლიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიამ, დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტა:

1. რეკომენდაცია მიეცეს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2017 წლის 26 დეკემბერს #12-03173606-03 წერილით წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის განსაზღვრაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარე : ერეკლე კუხიანიძე

სამდივნოს უფროსი: აკაკი მაკარიძე

შემსრულებელი: მარინა ლიპარტელიანი